

ფრანგი მეცნიერების ვიზიტი

23-25 სექტემბერს თბილისს ეწვევიან ცნობილი ფრანგი მეცნიერები: ახილე სტოჩი (Achille Stocchi) და სერგეი ბარსუკი (Sergey Barsuk). ახილე სტოჩი არის საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) ერთ-ერთი მთავარი ლაბორატორიის, კერძოდ კი ორსეს წრფივი ამაჩქარებლის ლაბორატორიის (LAL-Orsay) დირექტორი და პარიზ-XI უნივერსიტეტის პროფესორი (Paris XI, Paris-Sud). სერგეი ბარსუკი ამავე ლაბორატორიის წამყვანი მკვლევარი, განყოფილების გამგე და ამავედროულად პარიზ-XI უნივერსიტეტის პროფესორია.

LAL-Orsay სამეცნიერო ცენტრი მონაწილეობს ნაწილაკების და ასტრონაწილაკების ფიზიკის ექსპერიმენტებში და თეორიულ კვლევებში ნაწილაკების ფიზიკასა და კოსმოლოგიაში. აღსანიშნავია, რომ ამ ლაბორატორიის ბაზაზე იგეგმება მულტი-პროფილური მსხვილი სამეცნიერო ცენტრის შექმნა, სადაც კვლევებს ნაწილაკების და ასტრონაწილების ფიზიკაში დაემატები კვლევები ბირთულ ფიზიკაში, სპექტროსკოპიაში და სამედიცინო ფიზიკაში, განსაკუთრებით სამედიცინო ვიზუალიზაციისა და ონკოლოგიის მიმართულებით.

ორსეს ლაბორატორია ასევე ატარებს ყოველწლიურ ტრანს-ევროპულ სკოლებს მაღალი ენერგიების ფიზიკაში, რომელშიც ახალგაზრდა მეცნიერები, დოქტორანტები და მაგისტრანტები მონაწილეობენ მთელი მსოფლიოდან.

ფრანგი მეცნიერების ვიზიტის ძირითადი მიზანია ორსეს ლაბორატორიის სამეცნიერო საქმიანობის გაცნობა ქართველი კოლეგებისთვის, ქართული-ფრანგული სამეცნიერო პროექტების ხელშეწყობა და მაღალი ენერგიების ფიზიკის ტრანს-ევროპული სკოლის საქართველოში გამართვის შესაძლებლობის განხილვა.

ფრანგი მეცნიერები საქართველოში ჩაატარებენ 2 ლექციას.

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (23 სექტემბერი, 15:00 სთ)

ახილე სტოჩი და სერგეი ბარსუკი

(ორსეს ლაბორატორია და პარიზ-XI უნივერსიტეტი, საფრანგეთი)

"ახალი ფიზიკის ძიება LHCb ექსპერიმენტზე."

LHCb ექსპერიმენტი ტარდება ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის (CERN) დიდ ადრონულ კოლაიდერზე (LHC). ამ ექსპერიმენტის ძირითადი მიზანია CP-სიმეტრიის დარღვევის შესწავლა. LHCb ექსპერიმენტში ასევე აღმოჩენილია ახალი ნაწილაკები, რომლებიც 5 კვარკისგან შედგება. ფრანგი მეცნიერების ლექციაში მიმოხილული იქნება ამ ექსპერიმენტზე მიღებული შედეგები.

2 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (24/09, 18:00, I კორპუსი., აუდიტორია 107).

ახილე სტოჩი

(ორსეს ლაბორატორია და პარიზ-XI უნივერსიტეტი, საფრანგეთი)

"საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის(CNRS) ორსეს ახალი მულტი-პროფილური ლაბორატორია"

1. Achille Stocchi and Sergey Barsuk (LAL-Orsay and University Paris-Sud, France)
"Search for new physics with LHCb experiment".

2. Achille Stocchi (LAL-Orsay and University Paris-Sud, France)
"New multi-profile CNRS laboratory at Orsay".
(The new major laboratory will be launched in Orsay, uniting multi-profile community of high-energy physics, nuclear physics, spectroscopy, theoretical physics and medical imaging/oncology)